პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ზამოცემის 48-ე წელი

№ 31 (14027) | ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

ეს მოხდა გუშინ

ახალი საამქრო

გუშინ რუსთავის ქიმიურ კომბინატში ამოქმედდა ციანმარილების ახალი საამქრო. მართალია, ამ საამქროს მშენებლობა „ქიმმრეწვმშენის" სამმართველომ (უფროსი კ. უკლება) ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს დაამთავრა, მაგრამ ქიმიკოსებს დიდი შემოქმედებითი შრომის გაწევა მოუხდათ, რათა სრულეყოთ ახალი პროდუქციის მიღების ტექნოლოგიური რეჟიმი.

6 თებერვალს საამქროში წარმატებით დამთავრდა ციანმარილებისათვის საჭირო ნედლეულის ციანმჟავის მიღების ცდა. ქიმიკოსები შეუდგნენ ძირითადი პროდუქციის — ციანმარილების მიღების პროცესს და წარმატებით გაართვეს მას თავი.

ციანმარილების მიღებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საამქროს უფროსი გ. ეფრემაძე, ცვლის უფროსები გ. ტყეშელაშვილი, გ. დარჩია და სხვები. ახალი საამქრო, რომელიც ხუთი ძირითადი კორპუსისაგან შედგება, აშენებულია კაპროლაქტამის ქარხნის გვერდით და თავისი მასშტაბით ერთ-ერთ მძლავრ საწარმოს წარმოადგენს. მის მშენებლობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გ. დემეტრაშვილისა და მ. მახლაურის ბრიგადებმა.

ციანმარილები, რომლებსაც დღეიდან სერიულად გამოუშვებენ ქართველი ქიმიკოსები, გაიგზავნება ჩვენი ქვეყნის საკრლმეურნეო მინდვრებზე, როგორც საუკეთესო სამუალება მცენარეთა მავნებლებთან საბრძოლველად.

„კომუნისტის" საკ. კორ.

გამარჯვებულნი

ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს კოლეგიამ განიხილეს საქართველოს ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა რესპუბლიკური შეჯიბრების 1967 წლის შედეგები.

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს გორის ნავთობის ბაზის კოლექტივი. მას მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ფულადი პრემია მიენიჭა თელავის ნავთობის ბაზის კოლექტივს, მესამე — სოხუმის ნავთობის ბაზის კოლექტივს. (საკდესი).

ჯილდოები ლირსეულთ

1967 წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის სასახელო შედეგების მიხედვით სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა თბილისის ჩაის საფონი ფაბრიკის კოლექტივს.

თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის, ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხნისა და თბილისის № 3 ღვინის ქარხნის კოლექტივები გახდნენ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი და მოიპოვეს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურა რუსთავის ხორცის კომბინატის კოლექტივმა. (საკდესი).

მოწინავე კოლექტივი

„სსრკ სუმგრამადნეულკომბინატის" ტრესტის კოლექტივი უკვე ორი წელიწადია ინარჩუნებს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. ამასთან გასულ წელს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ტრესტს საკავშირო საიუბილეო სამახსოვრო დროშა მიეკუთვნა.

საქართველოს წიაღისეულთა მაძიებლებმა გასული საიუბილეო წლის მეოთხე კვარტალშიც მარგანეცის ნამატის ვეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, მარგანეცის მადნებისა — 160 პროცენტით, სპილენძისა — 118 პროცენტით, სამეურნეო და სასმელი წყლებისა — 212 პროცენტით. დიდი ყურადღება დაეთმო ახალი ტექნიკის დანერგვას. მიღებულმა ეკონომიამ 36.680 მანეთი შეადგინა.

წარმატებათა მიღწევაში განსაკუთრებით ისახელეს თავი კომუნისტური შრომის ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ტყვარჩელის საძიებო პარტიის ბურღვის უფროსი ოსტატი ბ. მარღანია, ქვაისის საძიებო პარტიის მბურღველი ა. ჯაჯიევი და ჭიათურის გეოლოგიურ საძიებო პარტიის გამყვანი გ. ხვედელიძე.

გასული წლის მეოთხე კვარტალში ტრესტმა დიდი წარმატება მოიპოვა. ამის შესახებ ნათქვამი იყო დეკემბერში, რომელიც მოსკოვიდან იქნა მიღებული. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის 1967 წლის IV კვარტალის შედეგების მიხედვით „სსრკ სუმგრამადნეულკომბინატს" ტრესტს მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ხუთწლედი — ვადამდე!

თეთრი ტალღები

რეპორტაჟი ივრისპირეთის საძოვრებიდან

◆

ეკ უეჭველად დაგხვდებათ მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი, თენგიზ სიბოშვილი, რომელიც დილიდან გვიანობამდე მეცხვარეობის ბრიგადებშია და საჭირო რჩევა-დარიგებას აძლევს თოვლისა და ქარიხავან სახეგარეულულ მწყემსებს.

ამჟამად მეურნეობის 12.655 ცხვარიდან 6.550 დოლშია ჩამდგარი. დოლიანობა ამას წინათ დაწყო და პირველივე კვირაში 250 ნერბზე მეტი დადოლდა. ამ საპატიო საქმეში მეცხვარეობის მეოთხე ბრიგადას მდიდარი გამოცდილება აქვს. შარშან ბრიგადამ 700 ნერბზე 650 ბატკანი გაზარდა. ერთი ცხვრის ნაპარსმა 2,7 კილოგრამი შეადგინა. მოწინავე მწყემსები ს. ჭიაურელი, ი. როსტიაშვილი და სხვები ახლა ენერგიულად შრომობენ, რომ ყოველ 100 ნერბზე 95 ბატკანი შეინარჩუნონ, ხოლო თვითეულ ცხვარზე 2,7 კილოგრამის ნაცვლად 3 კილოგრამი მატყელი მიიღონ. შრომის პირველი შედეგები სასიხარულოა. ბრიგადაში დადოლებული ნერბების ყველა ბატკანია შენარჩუნებული.

სიხარულის უზომო გრძნობა დაგეუფლებათ, როცა ახლოს გაეცნობით გ. ონაშვილისა და დ. კოხტაშვილის ბრიგადების მაჩვენებლებს. ისინი წლების მანძილზე ქ. ჭინჭარაძის ბრიგადის რიგით მწყემსები იყვნენ. უნარიანი წინამძღოლის დახმარებით სიძნელეებთან ჭიდილში გამოიწვრთნენ, დავაუკაცდნენ და, როგორც თვითონ ამბობენ, აქ დაფრთიანდნენ. შარშან გ. ონაშვილმა ყოველ 100 ნერბზე 99 ბატკანი გაზარდა. წელს მისი ვალდებულებაა 100 ნერბზე 100 ბატკანი გაზრდოს, თვითეულ ცხვარზე 3,6 კილოგრამი მატყელი მიიღოს.

— დოლიანობის დროს განსაკუთრებულ უურადღებას ვაქცევთ ნერბისა და ნამატის კვებას, სამატყენე-კორაკნების სიმშრალესა და სისუფთავეს, — ამბობს მეშვიდე ბრიგადის უნარიანი წინამძღოლი გ. ქურხული, საკვებად ვიყენებთ იონჯის თივას, კონცენტრატებს, საფენად კი — ნამჯას. მიმდინარე წელს ქურხულის ბრიგადამ 700 ნერბი უნდა დაადოლოს. ბშირია შემთხვევა, როცა ცხვარს მოგება უჭირს და ზველას მოითხოვს. მწყემსების ვ. გრატიაშვილის, გ. ბეციაშვილისა და სხვების სიმარჯვე რომ არა, „უბაწოთელა" 3 ბატკანს როგორ მოიგებდა და შეინარჩუნებდა.

მეცხვარეობაში მტკიცე საკვებ ბაზას, ფარეხებსა და კეთილმოწყობილ მწყემსთა სადგომებს, შრომის სწორ ორგანიზაციას რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ეს საგარეჯოელებმა კარგად იციან. მარტო დასადოლებელი ფარეხები ბრიგადამ 800 ტონა თივა, 150 ტონა კონცენტრირებული საკვები, აშენდა ორი ახალი ბინა და სამატყენე, ზამთრისათვის კაპიტალურად შეკეთდა მწყემსთა 12 სადგომი. მეხუთე ბრიგადის ზამთრის სადგომებში გაყვანილ იქნა ელექტრობაზი.

რა დალევს გარეჯელთა ზღვა სიხარულს, მათს გმირულ საქმეებს! როცა ქარი ჩადგება, გულს ჩაიწყნარებენ მწყემსები. ივრის გალმა-გამოლმა ელებს უჩვეულო სიწყნარე დაეუფლება, მოკრიალებულ ცაზე ღრუბლის ნასახსაც ვერ შეამჩნევთ, გამთენიისას მზე ნეტარ სხივებს კავკასიონის მხრიდან ივრის ველებზე უხვად გადმოღვრის და მაშინ სტიქიასთან ნაბრძოლი მწყემსები ელენ-ჩალით ჩათბუნებული ფარეხებიდან ბატკნების უთვალთვალ ტალღებს სუფთა პაერზე გამოუდილავებენ და არემარეს ჩვილი ბატკნების საამო გნიასი მოეფდება. აი ეს არის მწყემსის სიხარული.

ვ. ყუშიტაშვილი.

• • •

სურათებზე: საგარეჯოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარე ოთ ი.ს ფერმის მოწინავე ბრიგადირი გ. ონაშვილი (ზემოთ), ქვემოთ მარცხნივ — მთავარი ზოოტექნიკოსი თ. სიბოშვილი, მარჯვნივ — მწყემსი ა. ზუკაკიშვილი.

ფოტო ავტორისა.

რეპორტაჟი ივრისპირეთის საძოვრებიდან

ტალინგრადული ალმასი

მირნი (იაკუტიის ასსრ), 5 თებერვალი. (საკდესის კორ.). ალმასის მხარეში უდიდეს № 3 გამამდიდრებელ ფაბრიკაში აღმოაჩინეს 166 კარატი წონის ალმასი (33,2 გრამი). ეს არის ყველაზე დიდი ალმასი, რომელიც ოდესმე უპოვიათ ჩვენს ქვეყანაში. სტალინგრადთან გერმანელ-ფაშისტთა ჯარების განადგურების 25 წლისთავის აღსანიშნავად ალმასს უწოდეს სტალინგრადული. იგი 60 კარატით უფრო დიდია ალმას „მარიაზე", რომელიც ექსპონირებულია სსრ კავშირის ალმასის ფონდის გამოფენაზე კრემლში.

პატრიოტთა წარმატება

კანი, 6 თებერვალი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო ინფორმავს განთავისუფლების სააგენტოს და გვატყობინებს, რომ განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულ ძალებს, რომლებსაც მხარს უჭერს აღვილობრივი მოსახლეობა, კვლავ უკავიათ სამხრეთ ვიეტნამის თხიათხიენის პროვინციის ცენტრის — ქალაქ გუეს ბევრი რაიონი.

31 იანვარს პატრიოტებმა მოულოდნელად შეუტიეს გუეს — სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთ მთავარ ქალაქს, სადაც თავმოყრილია ამერიკის შეერთებული შტატების და მარიონეტული „მთავრობის მრავალი დიდმნიშვნელოვანი სამხედრო და ადმინისტრაციული ორგანო.

თხიათხიენის პროვინციაში მოქმედი განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა იმავე დღეს შეუტიეს ამერიკისა და მარიონეტული ჯარების სხვა საყრდენ პუნქტებს ამ პროვინციაში.

საარტილერიო სროლის შედეგად პრაქტიკულად სავსებით ანარალიზებულია ამერიკის ფუბაის სამხედრო-საჰაერო ბაზა გუეს სამხრეთით. პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ამერიკის შეერთებული შტატების არმიის საზღვაო ქვეითი ჯარის მესამე დივიზიის ბევრი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც ბაზას იცავდნენ, მოსპეს მრავალი თვითმფრინავი, ტყვია-წამლისა და სამხედრო აღჭურვილობის საწყობი.

ხონსონის წერილი

ვაშინგტონი, 6 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა გუშინ კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელიც ეძღვნება განათლების პრობლემების შეეერთებულ შტატებში. წერილიდან ჩანს, რომ მილიონობით ახალგაზრდა ამერიკელისათვის „კვლავ მიუწვდომელია" უმაღლესი განათლება. პრეზიდენტი აღიარებს, რომ უმაღლეს სკოლაში სწავლის ფასი იზრდება. პრეზიდენტი აცხადებს, რომ „ამცირებს ან დროებით გადადებს" ზოგიერთ პროგრამას სწავლა-განათლების დარგში, რასაც ხსნის „სახსრების საერთო ნაკლებობით ფედერალურ ბიუჯეტში".

ჯონსონი აღნიშნავს, რომ განათლების საჭიროებათათვის ასიგნებათა შემცირების შედეგად მნიშვნელოვნად შეიკვეცება სასწავლებლების, ლაბორატორიების, დამხმარე შენობების მშენებლობა.

გუეს რაიონში სასწრაფოდ გადაიყვანეს მარიონეტული ჯარების ოთხი ბატალიონი, რომლებსაც ასლდა ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. მაგრამ რევოლუციური შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა, რომლებსაც მხარს უჭერს აღვილობრივი მოსახლეობა, კარგად მოაწყვეს გუეს იმ რაიონების დაცვა, რომლებიც მათ ხელშია, და მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ მარიონეტული არმიის ქვეგანაყოფებს. პატრიოტებმა მოსპეს 14 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი, ჩამოაგდეს რამდენიმე ვერტმფრინავი და ტყვედ წაიყვანეს მოწინააღმდეგის ბევრი ჯარისკაცი.

2 თებერვალს ამერიკისა და მარიონეტულმა ჯარებმა კვლავ რამდენჯერმე შეუტიეს გუეს, ამასთან გამოიყენეს ავიაცია და სასტიკად დაბომბეს გუეს ბევრი დასახლებული უბანი. ისინი იმასაც არ მოერიდნენ, რომ ქიმიური იარაღი გამოეყენებინათ ამ ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

საგენტო აჯანს 31 იანვრის შემდეგ გუეში მომხდარი ბრძოლების შედეგებს. და აღნიშნავს, რომ იქ გაანადგურეს ამერიკისა და მარიონეტული ჯარების სამი პოლკი, შვიდი ბატალიონი და 20 ასეული, მწყობრიდან გამოიყვანეს და ტყვედ წაიყვანეს მოწინააღმდეგის ბევრი სამხედრო მოსამსახურე და გუეს მარიონეტული ადმინისტრაციის წარმომადგენელი. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გვატყობინებს, ტყვეებს შორის არის ამერიკელი პოლკოვნიკი და ამერიკელ ჯარისკაცთა ოფიცერი. პატრიოტებმა ჩამოაგდეს და მოსპეს 50-მდე თვითმფრინავი და ვერტმფრინავი, ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო ტექნიკა.

იემენის ამბები

კაირო, 6 თებერვალი. (საკდესი). იემენის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა ჩაფუშეს მონარქისტთა შეტევა ჯებელ ასუადის რაიონში. როგორც გაზეთი „ალ-აჰრამი" იუწყება, რესპუბლიკელთა ჯარებმა ამ ოპერაციის დროს ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის ბევრი იარაღი და სატრანსპორტო საშუალებანი. გაზეთი იუწყება, რომ დაზოცეს 100 მონარქისტი და 20 დატყვევეს. დაზოცილთა შორისაა ბენის ტომის შეიხი მუბამედ სულეიმანი.

ჩილეს ესკუდოს ახალი დევალვაცია

სანტიაგო, 6 თებერვალი. (საკდესი). ჩილეს ცენტრალურმა ბანკმა განაკარგულება გასცა მოეწყოს ჩილეს ვალუტის დევალვაცია. ეს წელს უკვე მესამე დევალვაციაა. ბანკმა ამერიკის დოლარის კურსი მყიდველებისათვის გაადიდა 6,97-დან 7,12 ესკუდომდე დოლარში, ხოლო სანაცვლო გარიგებებისათვის გაზარდა 6,00-დან 6,12 ესკუდომდე.

1967 წელს ესკუდო 35 პროცენტით გაუფასურდა.

გაზეთი „ულტიმა ორა" დღეს აღნიშნავს, რომ ინფლაცია ჩილეში გამოიწვია საერთაშორისო საგალუტო ფონდის განუწყვეტელმა ზემოქმედებამ ჩილეს მთავრობაზე.

„დოლარის გაძვირება ხელს აძლევს მხოლოდ უცხოეთის მსხვილ კონცერნებს, განსაკუთრებით ამერიკის სპილენძის კომპანიებს, და პირიქით აზარალებს ყველა მომხმარებელს, რადგანაც ეს გაძვირება მოქმედებს მთელ შინაგან ფასებზე", — წერს გაზეთი.

დევალვაცია უწინარეს ყოვლისა გამოიწვევს იმ საკონლის გაძვირებას, რომელიც ჩილეს უნდა გაიტანოს: ნედლეულისა და მანქანების, სათბობისა და სურსათის, მრეწველობის მზა ნაწარმის გაძვირებას.

ჩილეს გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის ეკონომიკის საკითხთა ბევრ მიმომხილველს მიაჩნია, რომ ინფლაციის პროცესი ჩილეში წელსაც განუწყვეტლივ განვითარდება.

შეიქმნა სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის საერთო საკავშირო სამინისტრო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 5 თებერვლის ბრძანებულებით დაადგინა, რომ შეიქმნას სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის საერთო საკავშირო სამინისტრო.

• • •

სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის მინისტრად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა ამხანაგი ვიაჩესლავ ვასილის-ძე ბახირევი. (საკდესი).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-201"

1968 წლის 6 თებერვალს საბჭოთა კავშირმა გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-201".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89.9 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 355 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 210 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 65 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

სახელმძღვანელო — ყველა მოსწავლეს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივ კომისიაში

◆

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიამ მოისმინა მისი თავმჯდომარის დეპუტატ ი. ბუაჩიძის მოსსენება საშუალო სკოლების მოსწავლეთა სასწავლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე, რომ ყოველწლიურად იზრდება გამოცემულ სახელმძღვანელოთა რაოდენობა და ხარისხი. კომისიის წევრებმა აღნიშნეს აგრეთვე, რომ მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის სკოლების მოსწავლეებს. აკლიათ სახელმძღვანელოები. მაგალითად, ქალაქ ქუთაისის სკოლების პირველი კლასების მხოლოდ 63 პროცენტია უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით. იგივე უნდა ითქვას არითმეტიკის სახელმძღვანელოებზეც.

მეტად დაგვიანებით მიაწოდეს ზუგდიდის რაიონის სკოლებს სახელმძღვანელოები: საზოგადოებათმცოდნეობა, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, რუსული ენის გრამატიკა. 1967 წლის ბოლოს მიიღეს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივ კომისიაში

◆

უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოს II ნაწილი ტყიბულის სკოლებმა, მაშინ როდესაც ამ დროისათვის მუშა-ახალგაზრდობის სკოლებში ამ საგნის სწავლება მთავრდებოდა.

არის შემთხვევები, როცა შეუსაბამობაა სახელმძღვანელოების შინაარსსა და პროგრამებს შორის. სახელმძღვანელოებში ვხვდებით კორექტურულ შეცდომებს. ნაკლოვანებებია სახელმძღვანელოების პოლიგრაფიულ შესრულებასა და მხატვრულ გაფორმებაში.

სხდომაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ რესპუბლიკის სკოლებში იგრძნობა სახატვრო და სახაზავი რვეულების, კონტურული რუკების ნაკლებობა, ამასთან საწერი რვეულები, განსაკუთრებით I კლასისა, დაბალი ხარისხის ქაღალდისაგანაა დამზადებული.

კომისიაში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა — დეპუტატებმა: ი. ხომერიკმა, მ. დავითაშვილმა, ვ. მერკვილაძემ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ უ. ობოლაძემ, საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. გოგოხიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტის

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.

1968 წლის 2 თებერვალი.

ᲕᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲐᲒᲣᲚᲨᲘ

როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კომუნისტი აქტიურად მონაწილეობდეს საერთო საქმეში, ეხმარებოდეს სხვას? რა არის საჭირო პარტიული აქტივობის შემდგომი განვითარებისათვის? რის გაკეთება შეუძლია და რას უნდა აკეთებდეს ამ მიმართულებით პირველადი პარტიული ორგანიზაცია და როგორია აქ პარტიული ორგანოების როლი? რას მიაღწიეს რაიონის მშრომელებმა საიუბილეო წელს? რა წვლილი შეიტანეს რაიონის კომუნისტებმა გეგმების შესრულებაში? რა როლი შეასრულეს პირველადმა პარტორგანიზაციებმა ამ მიმართულებით? ეს საკითხები იყო მთავარი ყვარლელი კომუნისტების 22-ე კონფერენციაზე. ამ და ბევრი სხვა საკითხის ირგვლივ ილაპარაკეს კონფერენციაზე მომხსენებლებმა, პარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ზაუტაშვილმა და კომთის მონაწილეებმა.

დიდია კომუნისტის ავანგარდული როლის, პირადი მაგალითის ძალა. რაიონის კომეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1.300 კომუნისტი მუშაობს. ისინი უპარტიო მასებს აღაფრთოვანებენ არა მარტო პატრიოტული სიტყვით, არამედ საქმით, პირადი მაგალითით. კომუნისტები თავდადებით შრომობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე რთულ, პასუხსაგებ უბნებზე, გამოდიან კარგ საქმეთა ინიციატორებად, ღრმად სწავლობენ და სწვდებიან მეურნეობის ეკონომიკას. მათ შორის არიან თვით კონფერენციის დელეგატები გ. ლომიძე, ვ. ტეხაშვილი, გ. გოგიტაშვილი, ზ. სუხიტაშვილი, ვ. წიკაძე, მ. რაზმაზიშვილი, ნ. დათუკიშვილი, ზ. რეგაზიშვილი, ი. დიასამიძე, გ. კანანაძე, ი. სეფაშვილი, კ. გელაძე, ი. ცაცია შვილი, რ. სესია შვილი, ახალგაზრდა კომუნისტები: ს. გოგიაშვილი, ვ. დათეშიძე, ქ. ჭიხვაძე, ზ. სუხიტაშვილი, ზ. ხუხიაშვილი, მ. ბეჟანიშვილი, შ. ციგროშვილი და სხვები.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ კომუნისტებს, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით ვერ გაამართლეს პარტიის საწესდებო მოთხოვნები. მათ აკლიათ გამბედაობა, პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა. ენინლის ულანოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მთელი შესაძლებლობით რომ ემუშავნა ყველა კომუნისტთან, მაშინ არ მოხდებოდა ის, რომ საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდა კომუნისტი გ. ტიღაშვილი პარტიიდან გაირიცხა დანაშაულის გამო.

საბუის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ამბილეს გამგეობასა და პარტორგანიზაციის მუშაობაში არსებული ნაკლი. კომუნისტებმა შ. ლაფაურმა, ნ. დათუკიშვილმა და სხვებმა მოურიდებლად ილაპარაკეს პარტბიუროს მდივნის ლ. ყანჩელიშვილის მუშაობის ნაკლოვანებებზე. აქ ადგილი ჰქონდა შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის შესუსტებას, რამაც ის გამოიწვია, რომ ამ კოლმეურნეობაში ვერ შესრულდა სიმინდისა და ყურძნის მოსავლიანობის გეგმები, ტექნიკა ხშირად უწესივრო მდგომარეობაში იყო. პარტბიუროს მდივანი ამას გულგრილად უყურებდა. ჩამორჩა, აგროვადებში და წესების ზუსტად დაცვით ვერ შესრულდა სამუშაოები. ამან კი მოსავლიანობის შემცირება გამოიწვია. სწორად მოიქცნენ კომუნისტები, ლ. ყანჩელიშვილი რომ მდივნად აღარ აირჩიეს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲐᲒᲣᲚᲨᲘ

მოსკოველთა და ლენინგრადელთა გამოცდილების მიხედვით რაიკომში საზოგადოებრივ საწყისებზე მოეწყო პარტიული ორგანიზაციების მდივნების მეთოდური დახმარების კაბინეტი — „პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის კუთხე", სადაც გამოფენილია სათანადო ლიტერატურა, პარტიული კრებებისა და პარტბიუროს სხდომების სანიმუშო ოქმები, პარტიული მეურნეობის სხვა დოკუმენტები. ამ მასალების გაცნობა, აგრეთვე მოწინავე პარტიული ორგანიზაციების მდივნების, რაიკომის აპარატის მუშაკების მორიგეობა, მათი კონსულტაციები დიდ დახმარებას უწევს პარტიულ აქტივს შინაპარტიული მუშაობის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების დაუფლებაში.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა რაიკომთან შექმნილი პარტორგანიზაციების მდივნების ერთწლიანი სკოლა, სადაც ლექციებს კითხულობენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები. წელს სწავლებაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების გარდა ჩაბეს პარტორგანიზაციების მდივნების მოადგილეები, კომკავშირის კომიტეტის კომუნისტი მდივნები.

რაიკომმა დაიწყო „პარტორგანიზაციის მდივნის დღე", „ინსტრუქტორის დღე", „პროპაგანდისტის დღე". ყოველივე ეს დიდად უწყობს ხელს პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის, ინსტრუქტორის და პროპაგანდისტის როლის ამაღლებას.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში კრებებზე განხილავენ კომუნისტების აღზრდის, მახარბრივ-პოლიტიკური მუშაობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და სხვა აქტუალურ საკითხებს. გაიზარდა თვით პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით განხილული საკითხების რიცხვიც. ბევრი კრება გადაიქცა კომუნისტების აღზრდის ნამდვილ სკოლად, სხზოგადოებრივ, კულტურულ, პოლიტიკურ ცხოვრებაში თვითეული კომუნისტის ჩაბმის მნიშვნელოვან საშუალებად.

უყვარლის სატყეო მეურნეობის, შილდის კუიბიშევის, ალმატის, ჭიკაანის მარჭხის სახელობის კოლმეურნეობის, ენინლის სახელობის, ბაღჩეულის, ახალსოფლის, გავაზის, ჭიკაანის საშუალო სკოლებისა და ბევრი სხვა პირველადი პარტიული ორგანიზაციები, გულმოდგინედ ამზადებდნენ და პარტიულ კრებებზე საკითხების მომზადებაში ფართოდ იყენებდნენ აქტივს.

პარტიის რაიკომს და მის აქტივს ღრმადა აქვთ შეგნებული პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების მაღალ დონეზე მოწყობის უაღრესად დიდი მნიშვნელობა. გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების შესრულების შემოწმების ხეორი ორგანიზაციის მთავარი პირობაა თვით მათი სწორად შემუშავება. მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი სისტემაატრმა კონტროლმა დადებითი შედეგი გამოიღო, პარტიულ ორგანიზაციებში გაიზარდა კომუნისტების პასუხისმგებლობის გრძნობა.

პარტიის რაიკომი, როგორც ყოველთვის, საანგარიშო პერიოდშიც სათანადო ყურადღებას აქცევდა სოციშეჯიბრების გაშლის საკითხს, შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას. სოციშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები განიხილეს არა მარტო პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში და საწარმოთა კოლექტივების საერთო კრებებზე, არამედ ძირეულ რგოლებშიც — ბრიგადებში, ფერმებსა და საამქროებში. ვალდებულებათა შესრულებისათვის გაშლილი შრომის ავანგარდში კვლავ კომუნისტები იყვნენ. მათ თან გაიყოლიეს ყველა მშრომელი. ამით სოციშეჯიბრებას მიეცა ნამდვილი შემოქმედებითი ხასიათი.

რაიკომმა დიდი ადგილი დაუთმო ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას, წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის საქმეს.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საბჭოთა და სამეურნეო საქმიანობასთან შეხამებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. რაიონის მშრომელებმა საანგარიშო პერიოდში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. საიუბილეო წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა რაიონში დიდი გადაჭარბებით შესრულდა, კარგად იმუშავეს ყველისა და კარაქის ქარხანამ, სამტრესტის ქარხანამ მართველომ, ქინძმარაულის ღვინის ქარხანამ, „საქსოფლტექნიკის" რაიონულმა გაერთიანებამ და სხვ.

საანგარიშო პერიოდში არაჩვეულებრივი ამინდების მიუხედავად, დიდ წარმატებას მიაღწიეს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. 1966 წელს ნაცვლად 11.100 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 14.405 ტონა ყურძენი. მარცვლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულდა 102.5 პროცენტით, ხელისა — 264 პროცენტით, ხორცისა — 103,5 პროცენტით, კვერცხისა — 112,4 პროცენტით და სხვ. რაიონი ამ წლის მაჩვენებლების მიხედვით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეა.

გასულ საიუბილეო წელს კვლავ კარგად იმუშავეს რაიონის მშრომელებმა. სოფლის მეურნეობის ყველა დარგში გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. რაიონს გადაეცა რესპუბლიკის სამახსოვრო დროშა. დიდ წარმატებას მიაღწიეს მემინდვრეებმა. ნაცვლად 15,6 ცენტნერისა საშუალოდ ჰექტარზე აწარმოეს 22,6 ცენტნერი ხორბალი.

ჭირვეული ამინდების მიუხედავად თავი ისახელეს მევენახეებმა. მათ გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის დამზადების საიუბილეო წლის გეგმა.

თუ 1966 წელს საშუალოდ რაიონში კაცდღეზე 2 მანეთი და 32 კაპიკი გაიცა, გასულ წელს კაცდღის ღირებულებამ 3 მანეთი და 56 კაპიკი შეადგინა. გასულ წელს, წინა წელთან შედარებით, შრომის საზღაურად კოლმეურნეობებში 1 მილიონი მანეთით მეტი გაიცა.

თავიანთ გამოსვლებში ბევრი საინტერესო საკითხი წამოჭრეს უყარლის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. მარდალეიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. დავითაშვილმა, ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა თ. ბუჯიაშვილმა, განათლების განყოფილების გამგემ დ. ლაფაჩიშვილმა, რაიპროკურორმა ა. ფიროსმანიშვილმა და სხვებმა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ᲒᲔᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲣ ᲘᲙᲘᲡᲠᲔ, ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔ ᲙᲘᲓᲔᲪ

ᲨᲣᲥᲘ ᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ ᲐᲠ ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ელექტროძრავების ქარხანას დიდი ხნის ისტორია როდი აქვს. აქ პირველი საპრეწველო პროდუქცია 1962 წელს გამოშვეს. მას შემდეგ მხოლოდ ექვსმა წელმა განვლო, მაგრამ ქარხანამ უკვე საკვეყნოდ გაუთქვა სახელი თავის ელექტროძრავებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში იგზავნება.

ეს მეტად დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივს. ახალგაზრდობა ადამიანისთვის უნდა ითქვას, რომ წარმატებით ართმევენ თავს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს, ზრდიან წარმოების მოცულობას, იბრძვიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

შარშან გადიდებული ვალდებულება იკისრა ქარხნის კოლექტივმა, და აი ახლა, როცა ხუთწლედის მეორე წელი ისტორიის კუთვნილება გახდა, მათ შეაჯამეს გაწეული შრომის შედეგები.

გასულ წელს ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 104,6 პროცენტით შეასრულა ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 102 პროცენტისა. გამოუშვა სხვადასხვა სახის 6819 ცალი მუდმივი დენის ელექტროძრავი, რაც 39 ცალით მეტია წლიურ დავალებაზე და 19 ცალით აჭარბებს ნაკისრ ვალდებულებას.

ქარხანაში ერთი მანეთის ღირებულების პროდუქციის დანახარჯები შეამცირეს 1,4 კაპიკით ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი ერთი კაპიკისა. შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 9,4 პროცენტით, ვალდებულება კი 2 პროცენტს ითვალისწინებდა. გეგმის გადამეტებით ქარხნის მოგებამ 17 ათასი მანეთი შეადგინა. ვალდებულება კი 10 ათას მანეთს ითვალისწინებდა.

ელექტროენერგიის ყაირათიანი ხარჯვით დაზოგეს 150 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 50 ათასი კილოვატ-საათისა. ელექტროძრავების ზოგიერთი ფოლადის დეტალი შეცვალეს ლითონის ფსევდონიანაგან დამზადებული დეტალებით, რითაც დაზოგეს 4 ტონა ფოლადი. სულ ვალდებულებების გადაჭარბებით ქარხანაში დაზოგილია 2 ათასი მანეთის ნედლეული და სხვა მასალა.

ქარხანაში დაინერგა დეტალების ჯგუფური დამუშავების მეთოდი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. დაწესდა საქარხნო გარდამავალი ვიმპელები, რომლებიც ყოველკვარტალურად გადაეცემა ხოლმე მოწინავე უბნებსა და ბრიგადებს. ამ წამახალისებელმა ღონისძიებამ ხელი შეუწყო ქარხანაში საწარმოო და შრომის დისციპლინის გაუმჯობესებას. ბევრი რამ გაკეთდა აგრეთვე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დასანერგად, წარმოების კულტურის ასამაღლებლად.

მართალია, შარშან დიდი მუშაობა გასწია ქარხნის კოლექტივმა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გალდებულების ყველა პუნქტი მაინც ვერ შეასრულეს.

ქარხნის კოლექტივის მიერ ნაკისრ ვალდებულებაში ნათქვამი იყო, რომ გასული წლის პირველი კვარტალიდან ქარხანაში უნდა დაენერგოთ დეტალების უდაფექტოდ დამზადების მეთოდი და აღმოეფხვრათ წუნი. კოლექტივმა ეს თითქოს განაზორციელა კიდეც. ტექნიკური კონტროლის განყოფილება დეტალებს პირველი წარდგენისთანავე იბარებდა. მაგრამ მაისის ბოლოს, როცა მოლდავეთის სსრ ქალაქ ბელციის ელექტრომექანიკური ქარხნიდან უკან დაბრუნდა დკ-907 მარკის 10 ცალი მუდმივი დენის ელექტროძრავი, რომელთაც დეფექტები —სასოგამანთ ღრეჩის 0,5 მილიმეტრით გადიდება აღმოაჩნდათ, გამოირკვა, რომ მიზნისგან ჯერ კიდევ შორს იყვნენ.

დაწუნებული ელექტროძრავები, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ შეკეთდა, გამოეცვალა სოგამანები და კვლავ გაეგზავნა მომხმარებელს. წუნის დამებისათვის მღარავი ზ. აივაზიანი და ტექნიკური კონტროლის მუშაკები დისციპლინარულად დაჯარიმეს. მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელდა პროდუქციის ხარისხზე მტკიცე კონტროლი და მსგავს შემთხვევებსაც ადგილი აღარ ქონია.

მაგრამ ელექტროძრავების ქარხანას შეუსრულებელი დარჩა ვალდებულების ის პუნქტი, რომლითაც კისრულობდნენ, შემმცირებინათ ქარხნიდან მუშათა დენადობა და მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო ბინებით დაკმაყოფილების მიზნით 1967 წლის III კვარტალში საექსპლოატაციოდ გადაეცათ 55-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

აღნიშნული სახლი, რომლის 220 ათასი მანეთის საშენებლო ღირებულებიდან ჯერ კიდევ გასული წლის მარტამდე შესრულდა 177 ათასი მანეთის სამუშაოები, დღესაც არ არის დამთავრებული. და ეს იმიტომ, რომ ქარხნის ადმინისტრაციულმა ხელმძღვანელობამ (ყოფილი დირექტორი დ. გაჩეჩილაძე) საქმისადმი გულგრილობა გამოიჩინა, მშენებლობის დამთავრებისათვის საჭირო 43 ათასი მანეთი დროულად ვერ გადმოარიცხვინა სსრ კავშირის ელექტრომექანიკური მრეწველობის სამინისტროს მთავარ სამმართველოს. ამის გამო მშენებლობა შეჩერდა და შემდეგ შიხტმენის ინა ახალციხის სამშენებლო სამმართველოს გეგმიდანაც ამოვარდა. ახლა, როცა მათ სამშენებლო თანხა უკვე აქვთ, მშენებლებთან საუბარია გაუზდათ საქმე.

ამ დღეებში ახალციხის ელექტროძრავების ქარხნის კოლექტივმა შეაჯამა გასული წლის შედეგები, დაკვირვებით გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და ხუთწლედის მესამე წლისათვის გადიდებული ვალდებულებები იკისრა. ახალ ვალდებულებაში კვლავ გარკვევით ჩაიწერა ქარხნის 55-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრება და მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა მომდინარე წლის III კვარტალში. იმედია, ქარხნის ხელმძღვანელობა წელს მაინც შეასრულებს ვალდებულების ამ პუნქტს.

Ш. МАИСУРАДЗЕ,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲒᲣᲛᲑᲠᲘᲜᲘ — ᲐᲮᲐᲚ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ. (საკ. კორ.). „საქგუმბრინის" მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა, რომელმაც იანვარში დიდი ადმავლობით იშრომა, ამ დღეებში დაფქული გუმბრინის პირველი ეშელონი გაუგზავნა ახალ მომხმარებელს — ქ. კაუნასის ქარხანა „ცენტროლიტს".

ახალი წლის პირველი დღეებიდანვე შრომაში დაწინაურდა № 3 მაღაროს კოლექტივი, რომელსაც გამოცდილი სამთო ინჟინერი გ. გოცირიძე უძღვება. ამ მაღაროში პ. გურეშიძის კომუნისტური შრომის ბრიგადამ იანვარში 730 ტონა ძვირფასი წიაღისეული ამოიღო და დავალებას 90 ტონით გადაამეტა.

ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲔᲜ

ᲙᲔᲙᲚᲣᲪᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲚᲐᲟᲔᲑᲘ

სულსა და გულს ახარებს გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმარანის მოსახიბლავი მიდამოები, ჩაისა და თამბაქოს ბარაქიანი პლანტაციები...

რა არ ხარობს, რა არ მოდის მის დალოცვილ მიწაზე.

მაგრამ აქაურ მკვიდრთ გული სტკივათ: კეკლუცს ბაღ-მარანს მოვლა, უურისგდება აკლია. სოფელს დღემდე არა აქვს კეთილმოწყობილი გზა, კლუბი, რადიო...

გაზეთ „კომუნისტშიც" დაიბეჭდა მშრომელთა საჩივრები. კერძოდ 1964 წლის 15 მაისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „არც გზა და არც იმედი". მაგრამ ბევრი რამ სოფელში კვლავ ძველებურად არის.

რადიოხაზი წელიწადია დუმს. ავტობუსი ძლივსძლივობით დაღლილს უვარგის გზაზე...

Ი. ᲒᲐᲐᲣᲜᲘᲐ.
მასწავლებელი.

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ?

ᲮᲣᲚᲝᲡ რაიონის ოქტომბრის სასოფლო საბჭოში არის პუოსაცხობი, რომელიც არ მუშაობს. მას შეკეთება სჭირდება, მაგრამ თავს არავინ იწუხებს. კოლმეურნეები პურისათვის ოთხ კილომეტრზე დადიან.

Ა. ᲛᲔᲚᲐᲫᲔ, Ხ. ᲛᲔᲚᲐᲫᲔ, Ხ. ᲠᲘᲫᲕᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲜᲐᲛ ᲛᲐᲒᲠᲘᲫᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲡᲔ?

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ კარგი საქმე გააკეთეს მშენებლებმა, ქალაქ ზუგდიდში სოსუმის ქუჩაზე ხიდი რომ აეგეს. მაგრამ ამ ამბავს ცუდი საქმეც მოჰყვა — ხიდის გვერდით წყალსაწრეტი მილები ჩაწყვეს, მოსახლის ეზოს კართან კი ხრეში ჩაყარეს... ამან გამოიწვია წყლის დაგუბება. გაუგალი ტბორი დადგა, ჯერ უშველა ორმოების ვათხრამ.

სრული სამი თვეა ადამიანებს თავიანთ ეზოში შესვლა უჭირთ.

დიდხანს გაგრძელდება ასე?

Ი. ᲠᲝᲖᲐᲕᲐ.

ᲛᲐᲠᲗᲝ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲔᲠᲐ ᲐᲠ ᲥᲛᲐᲠᲐ

რა სჯობია, დილით თავის დროზე ახალ-ახალ გაზეთებს რომ მიიღებ სამსახურში თუ ბინაზე. გაზეთი ჩვენი განუყრელი მეგობარია. ამიტომ გაზეთები „კომუნისტი", „სოფლის ცხოვრება", „თბილისი" გამოვიწერე.

მაგრამ იანვარი მიიწურა და გამოწერილი გაზეთები ვერ მივიღე მცხეთის რაიმრეწკომბინატში.

იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ ეს ფრილმანია. გაზეთის მარტო გამოწერა არ ქმარა. მას მოითხოვენ მოუთმენლად ელის.

Მ. ᲡᲝᲛᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲐᲕᲚᲘᲕᲐᲠᲗ, ᲓᲐᲕᲔᲥᲔᲑᲗ...

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ გავიდა, 1968 წლის ქართული კალენდარი კი ხაშურში არ იშოვნება. წარმოიდგინეთ, გორშიც კი ვიყავი სახელვაძის მაღაზიაში, მაგრამ არც იქ იყო.

კალენდარის შოვნა ასე უნდა ჭირდეს?

Გ. ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

ᲛᲔᲓᲐᲘᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ

ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ არ შეუძლია ყაზბეგის, სიონის ან კობის მაღაზიებში იყიდოს ქვანახშირი, კომბინირებული საკვები, ცემენტი, ხე-ტყის მასალა. ამისათვის მეპაიე იძულებულია ფული წინასწარ გადაიხადოს ამა თუ იმ მაღაზიაში, შემდეგ ეძებოს ტრანსპორტი და საქონელი კი მიიღოს ქ. ორჯონიკიძეში არსებული სატრანზიტო საწყობიდან, რომელიც ყაზბეგის კოოპერაციას ეკუთვნის.

შარშან ამ საწყობიდან გაიყიდა ტონობით კომბინირებული საკვები, ყაზბეგელ მეპაიეებს კი არცერთი გრამი საკვები არ ერგოთ.

Თ. ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘᲡ ᲑᲐᲚᲘ

ᲜᲣ ᲛᲝᲜᲐᲙᲚᲔᲑᲗ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘ

დიდი ჯიხაიში (სამტრედიის რაიონი) ერთერთი ცნობილი სოფელია საქართველოში. ამ სოფელთან არის დაკავშირებული ჩვენი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და მოაზროვნის ნიკო ნიკოლაძის სახელი. დიდი ჯიხაიშის ერთერთ კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობაა სწორედ ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი და მის ირგვლივ გაშენებული დეკორატიული პარკი. სახლ-მუზეუმის კეთილმოწყობის საქმეს ჯეროვანი ყურადღება ექცევა.

წარსულში, ვიდრე ნ. ნიკოლაძე აქ ბაღს გაშენებდა, ნაკვეთი ეკალ-ბარდნია და ჯაგნარით იყო დაფარული. ნ. ნიკოლაძის მეთაოვნობით გაიკაფა ბუჩქნარი და 80-იანი წლებიდან დაიწყო ძვირფასი დეკორაციული ხე-ბუჩქების დარგვა.

ნაკვეთის დაგეგმარებისას ნ. ნიკოლაძემ ადგილმდებარეობის დეკორაციული ბაღის იერი მიანიჭა, მხატვრულად განლაგებული დეკორატიული მცენარეები მეცნიერულ და ესთეტიკურ საფუძვლებს დაუქვემდებარა და საინტერესო სპაღოსპარკო კომპოზიციები მიიღო. ბაღი მოცულობით პატარაა, მაგრამ ცალკე და ჯგუფურად დარგულები მცენარეები სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

ნ. ნიკოლაძემ შემოიტანა ეგზოტიკური მცენარეები, რომლებსაც მხატვრული ღირებულების გარდა, ტექნიკური და საწარმოო მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ბაღის ტერიტორიაზე არის უზარმაზარი ცაცხვის ჯგუფი, შესანიშნავი ძელვების ხეივანი, აღმოსავლური ბაღრის უნიკალური სახეობა, საპნის ხე, სეკოია. ყურადღების ღირსია წიწვოვან მცენარეთა ძვირფასი კოლექცია, სადაც ფიჭვისა და ნაძვის ფონზე დარგულია კრიპტომერია, კუნენგამია, ღვია, ურთხმელი და სხვ. ნ. ნიკოლაძეს არც სასარგებლო ფოთოლმცენი მცენარეები დაეტოვებია უყურადღებოდ. ლაღად დგას ქართული მუხისა და კაკლის უზარმაზარი ხეები, კორპის მუხა, დიდყვავილა მაგნოლია, ოფანი, უნაბი, დეკანოზეთის ბაღარი, გლიცინია, ვერცხლისფოთოლა ფშატი და სხვ.

სახლ-მუზეუმის შექმნის საქმეში მუზეუმის დირექტორ თ. ჭილაძესა და მეცნიერ მუშაკ ვ. ბიბილეიშვილთან ერთად გარკვეული წვლილი მიუძღვის ამავე სოფლის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგ-მასწავლებელთა ჯგუფს პ. მიქაძის ხელმძღვანელობით. მათი უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით ბევრი რამ გაკეთდა. სახლ-მუზეუმის შენობა კარგად გამოიყურება, მის ინტერიერში ექსპოზიცია და თვალსაჩინოებისათვის გონივრულად განლაგებული ექსპონატები ნათლად ასახავენ დიდი ნიკოლაძის მოღვაწეობას.

ამ ადგილებში ეროვნული ენციკლოპედიის ავტორი ეწერა. ეს ადგილი ეროვნული ენციკლოპედიის ავტორებისა და ენციკლოპედისტების ერთ-ერთ ადგილად ითვლებოდა. ეროვნული ენციკლოპედიის ავტორ-ენციკლოპედისტ ნ. ნიკოლაძეს ეს ადგილი

საერთაშორისო ხელვრილა

ბრენობლი

ღალუმლეს ზარბაზნები

ბრენობლი, 5 თებერვალი. (საკდესი). ბულგარეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის სტოიჩევის წინადადებით საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ერთსულოვნად მოუწოდა მსოფლიოს ყველა ქვეყანას ოლიმპიური ასპარეზობის დროს შეწყვიტონ საომარი მოქმედება.

უძველეს სამყაროში, ნათქვამია მოწოდებაში, ოლიმპიური ასპარეზობის დროს წყდებოდა ომი და რამდენიმე დღით აცხადებდნენ დაზავებას. ასეთი დაზავება ხელს შეუწყობდა არა მარტო ისეთი დიდი ახალგაზრდული ფესტივალის წარმატებას, როგორიცაა საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობა, არამედ აგრეთვე ხელს შეუწყობდა სპორტის განვითარებას საერთაშორისო მასშტაბით.

კომიტეტი მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ოლიმპიური იდეალები, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი საომარი მოქმედების შეწყვეტას მსოფლიოს ყველა ნაწილში ოლიმპიური ასპარეზობის დროს.

გფრ

იზრდება უმუშევრობა

ბონი, 5 თებერვალი. (საკდესი). იანვარში უმუშევართა რიცხვი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თითქმის 150 ათასით გაიზარდა და მიაღწია 672 ათასს. ეს 50 ათასით და უფრო მეტად აღემატება გასული წლის იანვრის ბოლოსათვის შესაბამის ციფრს და 400 ათასით მეტია იმ დონეზე, რომელიც იყო ორი წლის წინათ.

დღეს გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, გაიზარდა არსრულ კვირას მომუშავეთა რიცხვიც. დასავლეთ გერმანიაში დასაქმებულ უცხოელთა რიცხვი კი ამ ბოლო ოთხი თვის მანძილზე თითქმის 90 ათასით შემცირდა.

ინგლისი

ემიგრაცია ინგლისიდან

ლონდონი, 5 თებერვალი. (საკდესი). ამ ბოლო რვა კვირის მანძილზე 24 ათასზე მეტმა კაცმა გამოთქვა სურვილი დატოვოს ინგლისი და სამუდამოდ გადასახლდეს ავსტრალიაში. ეს 30 პროცენტით აღემატება ამ ქვეყანაში გამგზავრების შესახებ განცხადებათა რაოდენობას გასული წლის შესაბამის პერიოდში, წერს დღეს გაზეთი „დეილი ტელეგრაფი". გარდა ამისა, იუწყება გაზეთი, ავსტრალიის საიმიგრაციო დაწესებულებებმა ინგლისის ექვს ქალაქში — ლონდონში, ბირმინგჰემში, მანჩესტერში, ედინბურგში, გლასგოსა და ბრისტოლში — მიიღეს 38 ათასზე მეტი შეკითხვა ავსტრალიაში გამგზავრების პირობების შესახებ, რაც 70 პროცენტით მეტია გასული წლის ამავე პერიოდში მიღებული შეკითხვების რაოდენობაზე.

ეს ციფრები მოწმობენ, რომ შემცირდა ინგლისელთა ცხოვრების დონე ამას წინათ განხორციელებული გიგანტური სტერლინგის დევალვაციის შედეგად, რამაც გამოიწვია ფასების ზრდა ამ ქვეყანაში.

ლიბანი

მთავრობა გადადგა

კაირო, 5 თებერვალი. (საკდესი). ლიბანის მთავრობა პრემიერ-მინისტრის რაშიდ კარამეს მეთაურობით დღეს გადადგა. მას შეცვლის დროებითი მთავრობა, რომელიც მოამზადებს საყოველთაო საპარლამენტო არჩევნებს ამ ქვეყანაში. არჩევნები გაიმართება 1968 წლის გაზაფხულზე.

განცხადება გადადგომის შესახებ წარადგინეს მთავრობის საგანგებო სხდომაზე ლიბანის პრეზიდენტის შარლ ჰელუს თავმჯდომარეობით. ამას იუწყება მენის საგენტოს ბეირუთელი კორესპონდენტი. პრეზიდენტი დათანხმდა მთავრობის გადადგომას.

ფანფიბარი

სახალხო ზეიმი

ზანზიბარი, 6 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ი. ჯირკვლოვი გვატყობინებს: ზანზიბარელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა არუშის დეკლარაციის მიღების პირველი წლისთავი. აქ გამართული დემონსტრაციის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა ზანზიბარის პრეზიდენტი ამეიდ კარუმე. მან თქვა, რომ არუშის დეკლარაციამ გამოაცხადა სოციალიზმის მშენებლობა ქვეყანაში. თავის სიტყვაში პრეზიდენტმა დიდი ყურადღება დაუთმო ტანზანიის ეკონომიკის განვითარებასა და თავდაცვის განმტკიცებას. ბოლო უნდა მოვუღოთ წარსულს, როცა გვყოფდნენ და გვაჩხუბებდნენ ერმანეთთან, თქვა კარუმემ და მოუწოდა ხალხს განამტკიცოს ერთობა.

ნიუ-იორკი, 5 თებერვალი. (საკდესი). საიგონის ზოგიერთ რაიონში გრძელდება ბრძოლები. დღეს საღამოს სამხრეთ-ვიეტნამელ მებრძოლებმა ნაღმსატყორცნთა ძლიერი ცეცხლი დაუშინეს მაორიონეტული ჯარების ნაწილებს.

ტოკიო, 6 თებერვალი. (საკდესი). ამ ბოლო დროს მკვეთრად გაიზარდა ვიეტნამის ბრძოლებში დაჭრილი ამერიკელი ჯარისკაცების რიცხვი, რომლებიც ოკინავაში გადმოჰყავთ. როგორც კიოდო ცუსინის საგენტოს კორესპონდენტი ნახის (ოკინავის ადმინისტრაციული ცენტრი) კადენის ბაზიდან გვატყობინებს, დაჭრილები სატვირთო ვერტფრინავებითა და ავტობუსებით მოჰყავთ ხალხით გაჭედილ ჰოსპიტლებში. შემდეგ ტატიკვის ბაზიდან, რომელიც ტოკიოს გარეუბანშია განლაგებული, მძიმედ დაჭრილებს ამერიკის შეერთებულ შტატებში გზავნიან.

ჰანოი, 6 თებერვალი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის პროვინცია თხია თხიენის ცენტრალურ ქალაქ გუეში ფრიალებს განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ალმები. რევოლუციური შეიარაღებული ძალები ინარჩუნებენ ქალაქის ბევრ რაიონს. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს განთავისუფლების საგენტოს ცნობას.

ორი დღის ბრძოლებში 3 და 4 თებერვალს პატრიოტებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ორი ბატალიონი, დახოცეს და დაჭრეს 350 მტრის ჯარისკაცი, ჩაიერეს მდინარე ხიონგზე ორი ამერიკული სამხედრო ვეება.

სააგენტო აჯამებს გუეში წარმოებული ბრძოლების შედეგებს და აღნიშნავს, რომ იქ გაანადგურეს ამერიკისა და მარიონეტული ჯარების სამი პოლკი, შვიდი ბატალიონი და 20 ასეული. მუყაოდან გამოიყვანეს და ტყვედ ჩაიგდეს მოწინააღმდეგის ათასობით ჯარისკაცი. ტყვეთა შორის არიან ამერიკელი პოლკოვნიკი და ამერიკელ ჯარისკაცთა ოცეული, ქალაქის მარიონეტული ადმინისტრაციის მეთაურები. ჩამოგდებული და მიწაზე მოსპობილია 50-ზე მეტი თვითმფრინავი და ვერტმფრინაკი, ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო ტექნიკა.

სამხრეთ ვიეტნამი

ბრძოლები გრძელდება

ტაილანდი

უგზავნიან მაშველს

ბანგკოკი, 6 თებერვალი. (საკდესი). ვიეტნამში აგრესიის მონაწილე ტაილანდის ჯარების სარდალმა გენერალ-მაიორმა იოსემ განაცხადა, რომ ტაილანდი სამხრეთ ვიეტნამში გაგზავნის ჯარების ახალ კონტინგენტს — 10 ათასზე მეტ კაცს. ეს მაშველი ძალები, თქვა ტაილანდელმა გენერალმა, რომელიც ბანგკოკში ჩამოვიდა ვიეთარების მოსახსენებლად, სამხრეთ ვიეტნამში გაიგზავნებიან რამდენიმე კვეუფად.

ბანგკოკში გამოაცხადეს აგრეთვე, რომ 5-10 თებერვალს მნიშვნელოვან ტერიტორიაზე, რომელიც ჩრდილოეთ, ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ტაილანდს მოიცავს, ეწყობა სეატოს მანევრები, რომლებშიც მონაწილეობენ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, ტაილანდი, ახალი ზელანდია, ავსტრალია და ფილიპინები. მანევრების მიზანია გაძლიერდეს ამ აგრესიული დაჯგუფების მონაწილე ქვეყნების არმიათა „სამხედრო თანამშრომლობა".

აშშ

რასკი და მაკნამარა ალიარებენ

ვაშინგტონი, 5 თებერვალი (საკდესი). „100 პროცენტით დარწმუნებული არა ვართ, რომ გემი „პუებლო" არ იყო ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიულ წყლებში",— განაცხადა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ, რომელიც რასკთან ერთად გამოვიდა ტელევიზიით.

ეს განცხადებანი უარყოფენ ვაშინგტონის ამასწინანდელ მტკიცებას, თითქოს „პუებლო" არ შესულიყოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში.

მაკნამარამ აგრეთვე თქვა, ვფიქრობ, რომ სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა ამ ბოლო დღეების შეტევითი ოპერაციების შემდეგ იქ დამატებით გაგზავნიან ამერიკის ჯარებსა და თვითმფრინაკებსო. ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების ჯარებს ვიეტნამში დაძაბული ბრძოლები მოელით", — იწინასწარმეტყველა რასკმა.

ჩვენს მეგობრებთან

გდრ

ხალხი იწონებს

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმართა სოციალისტური კონსტიტუციის, გერმანელი ხალხის ისტორიაში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა.

კონსტიტუციის პროექტის 108 მუხლის შინაარსი ასახავს რესპუბლიკის უდიდეს მონაპოვრებს სოციალისტური მშენებლობის დარგში. კონსტიტუციის პროექტი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, გერმანიის მიწა-წყალზე სოციალური პროგრესის, თავისუფლებისა და ადამიანურობის მედროშეა.

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს გამოთქმული ყველა აზრი მოწმობს, რომ გერმანელი ხალხი მხურვალედ იწონებს კონსტიტუციას, მაღლობას უცხადებს ბარტელსა და მთავრობას, რომლებიც შრომავენ ადამიანისათვის, რომ მეორეჯერ მეტი — ბედნიერი ცხოვრებისა — ამ ომებში გადაწყვეტილი არ დაიშურონ ძალღონე, იბრძოლონ იმ ამოცანათა შესრულებისათვის, რომლებიც დასახა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობამ და რომლებიც აისახა კონსტიტუციის პროექტში.

მონღოლეთი

მიეძღვნა სახელოვან თარიღს

ულან-ბატორში გაიმართა სიმპოზიუმი და სხვადასხვა ღონისძიება ფლოტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია.

მოხსენებაში „სიმპოზიუმი ფლოტის ისტორიული როლი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცებაში" გაიკეთა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, პოდპოლკოვნიკმა ბ. ტოვოდმა. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეებმა ილაპარაკეს სიმპოზიუმი და მონღოლ მეზობლებთან მეგობრობასა და მამაცობაზე ხალხინ-გოლის ომებისა და 1945 წლის იაპონელ მილიტარისტთა წინააღმდეგ ბრძოლების დროს.

უნგრეთი

ფერად ეკრანებზე

ბუდაპეშტი, უნგრეთის ქალაქ სეკეშფეხერვარის რადიოსა და სატელევიზიო აპარატურის ქარხანა „ვიდეოტონში" დადგმულია ფერადი ტელეგადამცემი. მისი საშუალებით მოხდება ფერადი ტელევიზორების აწყობა, რომელთა სერიული წარმოება აქ მიმდინარე წელს დაიწყება. აქ უკვე შეიქმნა ფერადი ტელევიზიის პირველი ექსპერიმენტული მიმღებები და ფართო საზოგადოებრიობისათვის წარმოდგენილ იქნება ბუდაპეშტის საერთაშორისო ბაზრობის მუშაობის დროს მაისში.



მოვლენათა კვალდაკვალ

კატასტროფის შემდეგ

△ ძებნა გრძელდება △ ინგლისური გაზეთის კომენტარები

ნიუ-იორკი, 6 თებერვალი. (საკდესი). 450 ამერიკელი სპეციალისტი მეატომე განაგრძობს გრენლანდიაში „ტოროსის" ოპერაციას. ისინი ეძებენ და აგროვებენ იმ ოთხი წყალბადის ბომბის ნაშთებს, რომლებიც აქ „დაეკარგა" ამერიკულ ბომბდამშენს „ბ-52".

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, ჯერ კიდევ გაურკვეველია ყველა ბომბი დარჩა თუ არა ოკეანის გაყინულ ზედაპირზე. სპეციალისტებს შეესძლოთ მიაჩნიათ, რომ ზოგიერთმა რადიოაქტიურმა ნამსხვრევმა გაიარა ყინულის სიზრქეში და ზღვის ფსკერზე დაეშვა.

მაგრამ თუნდაც რომ ეს არ მომხდარიყო, აღნიშნავს გაზეთი, რადიოაქტიური თოვლისა და ყინულის მოძებნისა და მოსპობის ოპერაცია მრავალ თვეს გასტანს და მილიონობით დოლარი დაჯდება.

ატომური ბომბებით აღჭურვილი ამერიკული თვითმფრინავების ხშირი ინციდენტები შეშფოთებას იწვევს ამერიკის შეერთებულ შტატებში. უურნალი „ნიუზნეი" ილაშქრებს ასეთი საშიში ფრენის წინააღმდეგ და იძლევა გაფრთხილებას: იმის მსგავს სხვა კატასტროფაში, როგორიც გრენლანდიაში მოხდა, რომელიმე წყალბადის ბომბი შეიძლება აფეთქდეს.

ლონდონი, 6 თებერვალი. (საკდესი). იმ ატომური ბომბების რადიოაქტიური დეტონატორის — პლუტონიუმის ძირითადმა ნაწილმა, რომლებითაც აღჭურვილი იყო ამერიკის „ბ-52" ბომბდამშენი, ეჭვი არ არის გაიარა ყინული კატასტროფის დროს და ახლა ძევს ბაფინის უურის ფსკერზე 500 ფუტ (150 მეტრ) სიღრმეზე. ამას წერს ინელსსური გაზეთის „დეილი მეილის" სამეცნიერო მიმოხილველი მაიკლისი.

როგორც იგი აღნიშნავს, კატასტროფის შემდეგ იმედი ჰქონდათ, რომ ჯერ მთელ რადიოაქტიურ მასალას შეაგროვებდნენ ყინულზე, ხოლო შემდეგ გაზაფხულზე ან ზაფხულში გაიტანდნენ ამ ყინულს. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ამ გეგმაზე ხელი აიღეს.

თუ პლუტონიუმი დარჩა დაქუცმაცებული ლითონის სახით, წერს მაიკლისი, მაშინ დინებას, რომელიც ამ რაიონში სჭარბობს, ადვილად შეუძლია წაიღოს იგი ნიუფაუნდლენდის სამხრეთისაკენ, ყულებისაკენ, რომლებიც თევზით უმდიდრესია მსოფლიოში.

ეერავითარი მაშველი წყალქვეშა ნავი და ვერავითარი მყვინთავი ვერ გამოიკვლევს უურის ფსკერს, სანამ მაისში ან ივნისში არ დაიწყება ყინულის დნობა.

მკითხველო დააკვირდით ამ სურათებს. ზემო ფოტოზე აღბეჭდილია ამერიკელ სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებიც განაგრძობენ ოთხი წყალბადის ბომბის ნამსხვრევების ძებნას „ბ-52" ბომბდამშენის კატასტროფის ადგილზე. ჯერჯერობით არავინ იცის, რა შედეგებს მოიტანს ეს ძებნა.

ქვემო სურათზე თქვენ ხედავთ ამერიკის ერთ-ერთ უმსხვილეს საჰაერო ბაზას ტულეში, რომელიც თვითმფრინავიდან არის გადაღებული. აქ სამხედრო სამსახურს გაწევს 1.700 ამერიკელი მფრინავი და ჯარისკაცი.

ფოტო ნორდფოტო-საკდესისა და პოლფოტო საკდესისა.

ამერიკელ ჯარისკაცთა ოცეული ტყვედ ჩავარდა

**ამერიკის ბანდიტებმა ბომბებით ანადგურეს ბრძოლა ბ. ტ. ... ...

ჩვენს კრეა-ჟურნალში

გვეგულისხმებენ „კომუნისტის“ და საქდესის კორესპონდენტები

ახალი კულტურის სახლი

შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ახალ წელს რაიონული ცენტრის ჩხოროწყუს მცხოვრებლებმა. მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს ახალი კულტურის სახლი.

იგი აშენებულია ადგილობრივი არქიტექტორების ვ. არჩაიას და ხ. გოგოლაძის პროექტით. კულტურის ახალ კერაში მოწყობილია კაბინეტები წრეების მუშაობისათვის, 700 ადგილიანი მაყურებელთა დარბაზი ტექნიკურად აღჭურვილი სცენით და სხვა დამხმარე სათავსოებით.

გახსნის დღეს კულტურის ახალ სახლში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის რუსთაველის თეატრის მსახიობებმა.



ზურათებზე: ქვემოთ — კულტურის სახლის საერთო ხედი. ზემოთ — მაყურებელთა დარბაზი.

ფოტო ი. ჯოხონელიძისა და ი. ნანიკაშვილისა.

გუშინდელი ფოსტიდან

მკითხველები გვწერენ

● შარშან ოჩამჩირის რაიონიდან ტურისტული საგზურით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში და საზღვარგარეთ 1000-ზე მეტმა კოლმეურნემ იმოგზაურა. მარტო სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობიდან უფასო საგზურებით 185 კოლმეურნემ იმოგზაურა ჩვენი ქვეყნის ქალაქებში.

ბ. ჯოჯუა.

● საბრძნოლად გაუმჯობესდა ზუგდიდის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. ინგირის კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები, რომლებსაც კეთილმოწყობილი სახელოსნოები და საპარიკმახერაოები აქვთ.

ბ. ალშიბაია.

ღვაწლმოსილი ლოგბარი მშობლიურ ქალაქში

ქართული საგუნდო ხელოვნების ოსტატი ვლადიმერ ბაბილუა, რომელსაც დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წელი შეესრულდა, ამას წინათ ეწვია მშობლიურ ქალაქ ფოთს. მას გულთბილი შემოქმედებითი სალამო გაუმართეს ქალაქის საზოგადოებამ.

იუბილარის განვლილ გზაზე, მის დამსახურებაზე ხალხური სიმღერების პოპულარიზაციაში დამსწრეთ მოუთხრეს მუსიკალური სკოლის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. ხავთასმა და სიტყვით გამოსულებმა — მასწავლებლებმა ქ. კვაპაძემ, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა თ. კახიანმა, მუსიკალური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგემ თ. ჩუბინიძემ, სიმღერისა და ცეკვის საქალაქო ანსამბლის ხელმძღვანელმა არ. ხორავამ და სხვ.

ეკ. ბაბილუამ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და ფოთელებს საჩუქრად გადასცა ფირი, რომელზეც ჩაწერილია ფოთის მხატვრული კოლექტივების გამოსვლები რესპუბლიკურ დათვალიერებებსა და ოლიმპიადებზე, შემდეგ მონაწილეობა მიიღო საკონცერტო განყოფილებაში.

კ. კომახიძე.

წვეულებათა კუთხე

ფოთი, 6 თებერვალი. (საქდესი). პიდრომექანიზაციის მანქანათმაშენებელ ქარხანაში დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა არმიის რიგებში გასაწვევი ახალგაზრდობის მომზადებას. საწარმოში მოწყობილია წვევამდელთა კუთხე, სადაც გამოფენილი სტენდები ასახავენ საბჭოთა არმიის გმირულ ისტორიას, მის ნახევარსაუკუნოვან გზას. წვევამდელთათვის ეწყობა სამხედრო-პატრიოტული ხასიათის საუბრები, მოხსენებები, შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, სამამულო ომის მონაწილეებთან.

მასპინძელია მოსკოვი

ბათუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლები კრემლის თეატრის სცენაზე

მოსკოვი, 6 თებერვალი. (ტელეფონით, „კომუნისტის“ სპეც. კორ.). გუშინ კურსკის ვაგზალში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები გულთბილად შეხვდნენ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს, რომელიც აქ საგასტროლოდ ჩამოვიდა. გუშინვე ამ შეხვედრის შესახებ საკავშირო ტელევიზიამ თავის მაყურებლებს მოუთხრო უკანასკნელი ცნობების მორიგ გამოშვებაში.

ბათუმელთა გასტროლებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ მოსკოვის მშრომელები და თეატრალური საზოგადოებრიობა. ეს გასაგებია. ბათუმის თეატრი ჩვენი რესპუბლიკის პირველი სახელმწიფო თეატრია (თბილისის თეატრებს გარდა), რომლის სპექტაკლებსაც ნახავენ მოსკოველები.

ქართველმა მსახიობებმა მოსკოვში ჩამოიტანეს თავიანთი ორი ნამუშევარი — აკაკი გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ და ალექსანდრე სამსონიას „ზღვა და სიყვარული“ (ორივე სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია თ. აბაშიძე). ორივე ნაწარმოები შედის ჩვენი თანამედროვეობისადმი მიძღვნილი სპექტაკლების საკავშირო დათვალიერება-კონკურსის პროგრამაში. ეს კონკურსი, რომლის შედეგები შეჯამდება აპრილში, უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება და ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

დღეს, საღამოს ბათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მოსკოვის კრემლის თეატრის სცენაზე წარმოადგინა პირველი სპექტაკლი „წმინდანები ჯოჯოხეთში“. ამავე სპექტაკლს მოსკოველები განმეორებით ნახავენ 8 თებერვალს, ხოლო ხვალ, 7 თებერვალს, ნაჩვენები იქნება „ზღვა და სიყვარული“.

პირველი სპექტაკლის დაწყების წინ ბათუმის თეატრის კოლექტივს გულთბილად მიესალმნენ საკავშირო თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები. საპასუხო სიტყვით გამოვიდა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ლ. ბოლქვაძე.

9 იანვარს საკავშირო თეატრალურ საზოგადოებაში გაიმართება შეხვედრა ბათუმის თეატრის კოლექტივთან და მოეწყობა სპექტაკლების განხილვა.

აჭარის მთებში დიდი თოვლი მოვიდა. სურათზე: დასასვენებელ სახლ „მზიურის“ დამსვენებელთა ჯგუფი ჩანჩქერთან სოფელ მახუნცეთში.

ფოტო ხ. ანჟელოსი.

ფრიალებს ოლიმპიური ალაში

გუშინ გრენობლში გაიხსნა ზამთრის მეათე ოლიმპიადა

1968 წლის 6 თებერვალი. ზამთრის ოლიმპიადის გახსნის დღე. დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა საფრანგეთის ალპების ქალაქის ოლიმპიური სტადიონი. გრენობლში სპორტსმენთა დიდი ზეიმის განწყობილება სუფევდა.

საზეიმო ცერემონიალის დაწყების წუთები... ოლიმპიურ სტადიონზე საპატიო სტუმრებთან ერთად შემოდის საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი. სტუმართა შორის არის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ე. ბრენდეჯი.

ყურს საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნი — „მარსელიოზა“. იწყება ოლიმპიადის მონაწილე 37 ქვეყნის მონაწილეთა საზეიმო სვლა. ტრადიციისამებრ კოლონებს წინ მოუძღვიან ოლიმპიადების სამშობლოს — საბერძნეთის სპორტსმენები. მათ მოჰყვებიან არგენტინის, ავსტრალიის, ავსტრიის, ბულგარეთის, კანადის, ჩილის, დანიის, ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთის, ოლიმპიადის უველაზე მეტი წარმომადგენლობითი ქვეყნების— სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების კოლონები, ჩამკეტები კი საფრანგეთის სპორტსმენები იყვნენ.

საბჭოთა კოლონას სსრ კავშირის სახელმწიფო ალმით წინ მიუძღოდა მსოფლიოს ჩემპიონი ბიატლონში ვიქტორ მასალატოვი.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, ე. ბრენდეჯი თხოვს საფრანგეთის პრეზიდენტს ოლიმპიადა გახსნას. შარლ დე გოლი გრენობლის ზამთრის X ოლიმპიადას გახსნილად აცხადებს.

სტადიონზე შემოდის IX ოლიმპიადის მასპინძლის — ინსბრუკის დელეგაცია, რომელმაც 4 წლის წინათ ჩაიბარა ოლიმპიური ალამი და ახლა მას გრენობლის დელეგაციას გადასცემს. ამის შემდეგ ოლიმპიური ალამი საზეიმოდ აღმართეს.

მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით შეეგებენენ საფრანგეთის ცნობილ სპორტსმენს ალენ კალმას, რომელმაც ოლიმპიური ჩირაღდნით შემოუტინა ტრიბუნებს, შემდეგ კიბეები აირბინა და ოლიმპიური ცეცხლი ააგიზგიზა.

ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი ამოიწურა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. შეტრეველი ლიბიერიოზო ალდგილ დადაკვა. მეორე ადგილი მოიპოვეს აგრეთვე გ. ბაკშეევამ და ა. დმიტრიევამ.

ლენინგრადის ტურნირზე ბაკშეევამ დაამარცხა კარპოვა, დმიტრიევამ — სტარიტმანისი, ხოლო მეტრეველისა და ლიხაჩოვის წყვილმა — რიგის დუეტი.



ტურნირიდან ტურნირზე

ლენინგრადის დახურულ კორტებზე ზამთრის ტურნირი აქვთ ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთელებს. 5 თებერვალს კოპენჰაგენიდან აქ ჩამოვიდნენ და ბრძოლაში ჩაებნენ სსრ კავშირის ჩემპიონები გ. ბაკშეევა და ა. მეტრეველი, აგრეთვე ა. დმიტრიევა და ს. ლიხაჩოვი.

საღამდინაციის დიდ ჩემპიონატში ა. მეტრეველმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. მეორე ადგილი მოიპოვეს აგრეთვე გ. ბაკშეევამ და ა. დმიტრიევამ.

ლენინგრადის ტურნირზე ბაკშეევამ დაამარცხა კარპოვა, დმიტრიევამ — სტარიტმანისი, ხოლო მეტრეველისა და ლიხაჩოვის წყვილმა — რიგის დუეტი.

ზამთრის საცურავ აუზში

გუშინ საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაკ აუზში დაიწყო რესპუბლიკის პირველობა ერომეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში.

სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამის შესრულების შემდეგ ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა „განთიადის“ წარმომადგენელი ალა კალიგინა, რომელმაც 85,40 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა დინამოელი ზ. ჩეკულაევა — 77,74 ქულა.

შეხვედრები კალათბურთში

ბაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები კალათბურთში ვაკეთა გუნდებისათვის.

კაუნასის „ჟალგირისი“ ზორიგი მატჩებისათვის ბაქოს ეწვია და აქ ორი შეხვედრა ჰქონდა აუტსაიდერთან — ადგილობრივ „ბურევესტნიკთან“. პირველ მატჩში ბრძოლა შეუთავრი გამოდგა. ერთი ქულის სხვაობით (81:80) გაიმარჯვეს სტუმრებმა. მეორე. დღეს ბაქოელმა კალათბურთელებმა შეძლეს რევანშის აღება 90:86.

ტალინში ტარტუს „კალევი“ შეხვდა კიევის „სტროიტელს“. წარმატება „კალევს“ ხვდა 72:58.

ლიდერია კიევის სკა — 18 თამაშიდან 13 ქულა. თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „სპარტაკს“ თორმეტ-თორმეტი ქულა აქვთ.

ფინალური ტურნირი

გუშინ თბილისში დაიწყო ფინალური შეხვედრები წყალბურთში „ბურევესტნიკის“ პრიზზე.

პირველ დღეს მოსკოვის გუნდმა დაამარცხა თბილისელი წყალბურთელები 5:3, ტაშკენტელებმა — კიევის გუნდი 4:3, ხოლო ლენინგრადისა და მინსკელი თანაკლუბელების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 4:4.

ბაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნმბა გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ ორგანიზაციას, დაწესებულებას, ამხანაგსა და მეგობარს, ვინც გამოგვიგზავნა ჩვენი დიდი მწუხარების მწარალ ნოდარ ბარნაბის-ძე ჩხეიძის გამო.

ნ. ჩხეიძის ოჯახი.

აკრიფეთ ექვსნიშნა ციფრი

თბილისის ტელეფონიზაციის ნოემბერი ეფექტურია

დაემატება ციფრი 9. ამრიგად, თუ ადრეს გვაქვს ტელეფონის ნომერი 3-27-25, 3-23-32, 3-23-24, ექვსნიშნიან ნუმერაციაზე გადასვლის შემდეგ შესაბამისად გვექნება 93-27-25, 93-23-32, 93-23-24.

ტელეფონებს, რომელთა ნომერი იწყება ციფრით 5, ექვსნიშნიან ნუმერაციაზე გადასვლის შემდეგ წინ დაემატება ციფრი 9. მაგალითად 5-13-66, 5-25-27, 5-35-49, ექვსნიშნიან ნუმერაციაზე გადასვლის შემდეგ იქნება 95-13-66, 95-25-27, 95-35-49 და ა. შ.

ნომრის რომელიც იწყება ციფრით 7, ექვსნიშნიან ნუმერაციაზე გადასვლის შემდეგ წინ დაემატება ციფრი 8, ე. ი. ნომერი 7-13-70, 7-12-24, 7-35-36, გახდება 37-13-70, 37-12-24, 37-35-36.

ტელეფონებს, რომელთა ნომერი იწყება ციფრით 6, წინ დაემატებიან ციფრი 6. თუ ადრე გვაქვს ტელეფონის ნომერი 6-13-99, 6-15-27, 6-33-39, ექვსნიშნიან ნუმერაციაზე გადასვლის შემდეგ გვექნება 66-13-99, 66-15-27, 66-33-39.

ტელეფონებს, რომელთა ნომერი იწყება ციფრით 4, ექვსნიშნიან ნუმერაციაზე გადასვლის შემდეგ წინ დაემატება ციფრი 7. 4-33-40, 4-33-60 ექვსნიშნიან ნუმერაციისას იქნება 74-33-40, 74-33-60.

ზემოაღნიშნული განმარტების მიხედვით, სატელეფონო ქსელის აბონენტებმა და მოქალაქეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ ტელეფონების ინდექსების ცვლილება: 9 იცვლება 99-ით, 8 იცვლება 93-ით. 5 იცვლება 95-ით, 7 იცვლება 37-ით, 6 იცვლება 66-ით, 4 იცვლება 74-ით.

პირველ რიგში თებერვლის შუა რიცხვებში ექვსნიშნიან ნუმერაციაზე გადაყვანილ იქნებიან ტელეფონები, რომლებიც იწყებიან ციფრით 9, შემდეგ ექვსნიშნიან ნუმერაციაზე გადაყვანილ იქნებიან ტელეფონები რომელთა ინდექსია 5, 7 და 4. გადართვა თანმიმდევრობით მოხდება და ცალკეული სადგურის ტელეფონების ნომრების შეცვლა წინასწარ გამოცხადდება.

თბილისის სატელეფონო ქსელის აბონენტებმა და მოქალაქეებმა ტელეფონებით სარგებლობის დროს ზუსტად უნდა აკრიფონ ექვსნიშნიანი ნომერი, რადგან წინასაღმდეგ შემთხვევაში, ჯერ ერთი, ვერ მოხვდებიან გამოსაძახებელ აბონენტთან და, მეორეც, ზედმეტად დატვირთავენ სადგურს.

პირდაპირ უნდა ითქვას, თბილისის სატელეფონო ქსელის ხუთნიშნიანი ნუმერაციიდან ექვსნიშნიან ნუმერაციაზე გადასვლა საგრძნობლად რთული ტექნიკური ღონისძიებაა, რომლის მსგავსი ჯერ არ მომხდარა ჩვენს სატელეფონო ქსელში. ძალიან დიდი რაოდენობით უნდა ჩაირთოს ახალი აპარატურა უკვე მოქმედთან, რამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს ცალკეული ტელეფონების მუშაობის შეფერხება. ასეთ შემთხვევაში აბონენტებმა უნდა მიმართონ შესაბამისი სადგურების დაზიანების ბიურობს, სადაც მიღებული იქნება სათანადო ზომები.

თბილისის სატელეფონო ქსელის მუშაობის ამ მეტად სერიოზულ მონაკვეთში თბილისის მოსახლეობა სრული გაგებით უნდა შეხვდეს ტელეფონების მუშაობის შესაძლო შეფერხებებს.

საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ კონკრეტული ღონისძიებები დასახა, რათა რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში სატელეფონო ქსელის ექვსნიშნიან ნუმერაციაზე გადასვლა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ განხორციელდეს. ამას კი უკვე კარგახანია მოელის დედაქალაქის მოსახლეობა.

ნ. ჩხიკვაძე.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე.

კბილი თუ გტკივათ...

სიახლე მედიცინაში

კბილის კარიესი — მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ავადმყოფობაა. ათასობით მეცნიერი მუშაობს იმაზე, თუ როგორ შეუმსუბუქონ ხვედრი ადამიანებს, ვისაც დაავადებული კბილები აქვთ. უკანასკნელ წლებში მედიცინას ეხმარება ქიმია — შექმნილია კბილის დასაპლომბავი ახალი ეფექტური მასალა — დენტოქსიდი. მისი ფუძეა ეპოქსიდის ფისი, რომელიც პირველად სინთეზირებულია ჩვენს ქვეყანაში და გამოირჩევა მაღალი ქიმიური მედეგობით, სიმაგრით, სითბოსა და სიცივის მოქმედებისადმი გამძლეობით. დენტოქსიდს არა სჭირდება არავითარი შუასადები, იგი აბსოლუტურად უვნებელია და უკვე მიიღო ცხოვრების საგზური. მისი დახმარებით მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, რიგის, ტალინის, ფრუნზეს, ალმა-ატის, კრასნოდარის, იაროსლავლის, ვოლგოგრადის, პოლიკლინიკებში უკვე განკურნეს ათი ათასზე მეტი კაცი. 1967 წელს კბილის საექიმო მასალების ლენინგრადის ქარხანამ გამოუშვა დენტოქსიდის მეორე პარტია და იწყებს მის გეგმიან გამოშვებას.

ყოველგვარი სამკურნალო ნივთიერების ხარისხზე მსჯელობენ მისი შორეული შედეგების მიხედვით. დენტოქსიდმა ეს გამოცდაც ჩაიარა. სამი წლის გამოცდამ დაადასტურა მისი სრული უვნებლობა, მაღალი საიმედოობა და ხანგამძლეობა. ამ თვისებებით იგი უკეთესია ცემენტზე, ამალგამასა და აკრილის პლასტმასებზე. დენტოქსიდის პლომბები 10-ჯერ უფრო იშვიათად შეიძლება ამოვარდეს, ისიც უმთავრესად არასწორი გამოყენების გამო.

ახალი მასალა უნივერსალურია, მას წარმატებით იყენებენ არა მარტო კარიესის სამკურნალოდ, არამედ არხების დასაალომბავადაც. ჯანსაღფესვიანი მოტეხილი კბილების და დაწლილი მჭრელი კიდეების აღსადგენად, ემალის ღრმა სოლისებრი დეფექტების გამოსასწორებლად, ჩანადებების, ნახევრადგვრგვინების, გვირგვინების, შტიფტიანი კბილების და ხიდისებრი პროთეზების გასამაგრებლად.

დენტოქსიდის მომზადება და გამოყენება საკმაოდ რთულია, იგი მოითხოვს პერსონალის სპეციალურ მომზადებას და თვითეული კომპლექტისათვის დართული ინსტრუქციების ძალიან ზუსტად დაცვას. ყოველივე ეს, უეჭველია, აძნელებს მის მასობრივად გამოყენებას. ამიტომ ამჟამად თვისების პროცესშია საპლომბავი მასალის ახალი ფორმა — ტაბლეტების სახით. თვითეული ასეთი ტაბლეტი უკვე მზა პლომბია, რომელსაც საჭიროა დაემატოს მხოლოდ ერთი წვეთი გამმაგრებელი.

ბ. გოროვოი.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

(სამიტარული განათლების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი).

ცნობისმოყვარეთათვის

ყველაზე „ცხიმიანი“ კაკალი

ხოჯიკენტი, (უზბეკეთის სსრ), (საკდესი). ბოსტანდიკიდან, რომელიც ტიან-შანის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს გაიგზავნა მეათასე ამანათი. ამ ამანათში არის უზბეკური ჯიშის კაკალი. ამ კაკალზე გაწსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა. იგი სჭირდებათ როგორც საბჭოთა აგრონომებსა და მეცნიერებს, ისე ბევრ საზღვარგარეთელ მებაღეს. დღევანდელი ამანათის მისამართი ივანოვოა, სადაც განსაკუთრებით დაინტერესდნენ „ს ა ი უ ბ ი ლ ე ო ს“ ჯიშით, კაკალს ასე ეწოდა ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ამ ჯიშის კაკლის გული შეიცავს 80 პროცენტ ცხიმს. ეს ჯიში გამოიყვანა აკადემიკოს რ. რ. შრედერის სახელობის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბოსტანდიკის ფილიალში სელექციონერმა ს. ს. კალმიკოვმა. ეს არის ყველაზე „ცხიმიანი“ კაკალი საბჭოთა სელექციის კაკლებიდან. თითოეული ნაყოფის საშუალო წონა თორმეტი გრამია, მოსავლიანობა — ორასი კილოგრამი ერთ ხეზე.

ამ ბოლო წლების მანძილზე ფილიალის მეცნიერმა მუშაკებმა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს ს. ს. კალმიკოვის ხელმძღვანელობით ჰიბრიდიზაციის გზით გამოიყვანეს 16 ახალი ჯიშის კაკალი, რომლებიც გამოირჩევიან კარგი გემოთი, უხვი მოსავლიანობით, მალე მწიფდებიან, იტანენ ყინვებსა და ავადმყოფობას.

კუ სამხრეთისაკენ გარბის

ბევრ იშვიათ არქეოლოგიურ ნაპოვნს ექსკავატორის ციცაბს უნდა ვუმადლოდეთ. სწორედ მისი საშუალებით აღმოაჩინეს არხანგელსკელმა მეჭანიზატორებმა სოფელ კრასნობორსკის მიდამოებში გაკვანძული კუ. იგი მიწის სიღრმეში იპოვეს წყალსადენის ტრანშეის გაკვანის დროს.

ჩრდილოეთისათვის უჩვეულო ნაპოვნი კანტრარში მიიტანეს. გათოშილმა მშენებლებმა ხელრიანად გათბობა ვერც მოასწრეს, რომ კუ, რომელიც მუშებს „გამყინვარებამდელი პერიოდის წარმომადგენელი ეგონათ, ამოძრავდა და ჯავშნიდან ფეხი გამოყო.

ზოგიერთი უკვე დინოზაურების პერიოდში ჩაძინებული კუს ასტრონომიულ ასაკზე ბრალობდა. ზოგი ამბობდა სასწრაფოდ ვიკნობოთო ეს სენსაცია არხანგელსკელ მეცნიერებს. მაგრამ მათი ფანტაზიები გაიარწყლა არხანგელსკელმა ნ. ი. სუეტნმა. ზაფხულში მას ზოოლოგიურ მოგზაურობა ბაშკირეთისათვის კუ უყიდია, რომლისთვისაც მაშკა დაუჭერეთიათ. სეტმბერში მაშკა ბაკონა. ოთხ თვეში იგი შორს წავიდა სახლიდან და სივიბისაკენ მიწის სიღრმეს შეიფარა თავი.

მაგრამ, როგორც ირკვევა, კუ შინიდან კი არ გარბოდა, არამედ შინ ბრუნდებოდა. საგულისხმოა, რომ მისი გზა ზუსტად სამხრეთისაკენ მიდიოდა.

რადიოსიგნალები... ტაბლეტებიდან

ექიმი პაციენტს აძლევს უჩვეულო „ტაბლეტს“, რომელიც სიდიდით „ოენზახურის“ კამფეტისოდენაა. შიგ კი სპეციალური მოწყობილობაა პლასტიკის კორპუსში. გადის რამდენიმე წამი და მიმღებ-აღმრიცხველი აპარატურა იწყებს ამ „ტაბლეტში“ მოთავსებული მიკრომინიატურული რადიოსადგურის სიგნალების დამუშავებას. ორიგინალური მოწყობილობის სერიული გამოშვება ლენინგრადში დაიწყო.

კაფსული კუკ-ნაწლავში მოძრაობისას „აგროვებს“ ექიმისათვის საჭირო ინფორმაციას. ამპულის „დასპეციალების“ კვალობაზე მისი გადამწოდები იძლევიან მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც ექიმს აინტერესებს. მოძრავი რადიოადგურის ბატარეას შეუძლია სამი დღე-ღამის განმავლობაში იმუშაოს.

მიმღებ-აღმრიცხველი აპარატურის მიერ ჩაწერილი დიაგრამები ეხმარებიან ექიმს უფრო ზუსტად დასვას დიაგნოზი, აწარმოს კვლევა ზონდის გამოყენებისგან. კლინიკებში მოწყობილმა გამოცდამ კარგი შედეგები მოიტანა.

(საკდესი).

რედაქტორი
დ. მჟელდიშვილი.

ჩაჯ ვიცოდეთ, ჩაჯ ეთვისებინოთ

ტელევიზია

7 თებერვალი

10.00 — კინონარკვევი, 10.55 — ქართული მხატვრული ფილმი „ფატიმა“, 12.30 — „სამედიცინო რჩევები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.45 — „ზამთრის ოლიმპიურ თამაშობებზე“ (გადმოცემა გრენობლიდან), 17.25 — გადაცემათა პროგრამა, 17.30 — ლექცია პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელთათვის, 18.00—ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.25—გადაცემა ბავშვებისათვის—„ჯადოსნური საღებავი“, 18.45 — განცხადებები, 18.50 — კონცერტი, 19.10 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 19.30 — კინონარკვევი, 19.50 — საქართველოს კომპოზიტორთა ყავშირის პლენუმი, 20.10 — ქართული მხატვრული ფილმი „ორი მოთხრობა“, 21.25 — გადაცემათა პროგრამა 9 თებერვლისათვის, 21.30 — საინფორმაციო პროგრამა „დრო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „შენ ახალგაზრდობავ“ (გადმოცემა ვოლგოგრადიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 11 ს. და 18 ს.

8 თებერვალი

10.00 — მხატვრული ფილმი „სამი ღამე“ (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 10.20 — კინონარკვევები, 11.00 — სატელევიზიო დოდგმა „სახლი“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.15 — „სოფლის სიახლენი“ — თაობათა ესტაფეტა (გადმოცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 18.45 — „მოსახლეობას — სამოქალაქო თავდაცვის შესახებ“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — კინონარკვევი, 19.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — მილან ჰენდრიხი „დიდი კაპელ“ (სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან). 21.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დედის ხელი“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.15 — ქართული კინოს მოღვაწენი — დიმიტრი ანაშმაძე, ნატალია ყუეუნაძე.

თეატრები

7 თებერვალი

ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტოსკა, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჩალის ქუდი, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მომავალ შეხვედრამდე, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი შემლილი ძმა, თოჭინების ქართული (მე-60 საშუალო სკოლის შენობაში) — ნაცარქექია (დასაწყისი 11 ს. და 2 ს.).

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-98-03, 9.08.09, პ/მგ მდივნის — 9-72.80, სამდივნოსი — 9-86-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, ხალხთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9.55.01, ინფორმაციის — 8-16,90, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.

ჩვენი ბისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ЗЕ 07345

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.